პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 ივლისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 145 (9556) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპორტსმენთა მონაბარი:

● ოქროს მედლები. კრივი — გოჩა აბსარიძე, როინ ბიკვაიძე, ალბერტ ოჩიგავა, დიმიტრი ავდალიანი, თამაზ ბუაძე.

● ვერცხლის მედლები. კრივი — არმენ გევორქიანი, კახაბერ ჩიქვინიძე, კახაბერ ტურავა, არმენ ბურდიანცი. ძალოსნობა — ზაზა ხარაიშვილი.

● ბრინჯაოს მედლები. კრივი — არსენ ესოიანი, მათე კოღუაშვილი, ვასილ აბსარიძე, ლევან კალანდაძე. ნიჩბოსნობა — ვაჟთა ოთხეული.

ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ 1917 1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

გამოცდილება — ყველასათვის

საკმარისია ეოინდომო

თითქმის წარმოუდგენელი ისტორია ჩქაროსნულ სპორტულ მშენებლობაზე და ოცნების ერთგულ ადამიანზე

...შეგადაშიგ ყველაფერი აბობოქრებულ ვულკანს მოგაგონებდათ: სტადიონის პროექტორების ფერქეთ გაჩირაღდნებული კრატერიდან ტრიბუნების ყურისწამღები ხმაური იღვრებოდა.

ასეთია დიდი ფეხბურთი ლანჩხუთში.

მან, ვინც ადრე ყოფილა აქ, ახლოვან ძალზე მოკრძალებული ნაგებობა, რომელსაც „ცენტრალური სტადიონი“ ერქვა. ის, რაც ახლა გარმოგიდგებათ თვალწინ, აღფრთოვანებისა და გაკვირვების გრძნობას იწვევს.

ყველაფერი დაიწყო ოცნებით. ლანჩხუთში გადაწყვიტეს შექმნათ საფეხბურთო გუნდი. უფრო სწორად გუნდი უკვე იყო და ურიგოდ არ გამოდიოდა რესპუბლიკის ჩემპიონატში. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდათ. მიზნად დაისახეს — „გურიამ“ უნდა ითამაშოს უმაღლეს ლიგაში. მეზობლები ქირქილობდნენ: „დიდი ფეხბურთი პატარა ლანჩხუთში? ეს ხომ უტოპიაა! თანაც ღატაკი სტადიონის, ცუდი სასტუმროს, პრიმიტიული ბაზის პირობებში?“

გავიდა წლები, ოცნება ასრულდა: „გურია“ — უმაღლეს ლიგაშია.

საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოში კომპეტენტური კომისია შეიქმნა, რომელმაც გადაწყვიტა ადგილზე შეესწავლა რამდენად მზადაა გუნდი მომავალი სერიოზული გამოცდისთვის. თანაც არა მხოლოდ საფეხბურთო გამოცდისთვის. უმაღლეს ლიგაში ხომ ორგანიზაციული მოთხოვნებიც უფრო მაღალია.

ადგილზე სტუმრები დაარწმუნეს: „ნუ ღელავთ, სეზონის პირველი მატჩისთვის ყველაფერი მზად იქნება“. და იქვე გააცნეს გეგმები: სტადიონის ხელახალი მშენებლობა, რომლის ტევადობა ორჯერ გაიზრდება, ბაზის, სასტუმროს რეკონსტრუქცია, ტრიბუნებისქვეშა

იხ. მე.2 გვ.

20 წლის შემდეგ

ქართველი მთასვლელები ლენინის პიკზე

რესპუბლიკის სპორტსახკომისა და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ექსპედიცია, სპორტის ოსტატ თამაზ ბაქანიძის ხელმძღვანელობით, ამჟამად პამირის მთიანეთში იმყოფება. მოიერიშეთა ჯგუფმა, — თამაზ ბაქანიძე (ხელმძღვანელი), ბიძინა გუჯაბიძე, მირიან ფერეგანაკოვი, თორნიკე ბერიშვილი, მერაბ ნემსიწვერიძე და ამირან დოლიძე, ლაპინის მთის გავლით ჩრდილოეთ მხრიდან დაიპყრო საბჭოთა კავშირის მეორე მაღლივი მწვერვალი ლენინის პიკი (7.1343).

ჯგუფმა მწვერვალის დალაშქვრას 4 დღე მოანდომა.

ახალგაზრდა ქართველ მთამსვლელთა ჯგუფმა გაიმეორა მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით განხორციელებული ახვლა, რომელიც 1967 წელს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

უჩვეულო შემთხვევა

კვირას თბილისის ზღვის ტერიტორიაზე გაიმართა მოსწავლეთა თამაშების ასპარეზობა ჯგუფურ საგზატკეცილო ველოსიპედში. გოგონებს 60 კილომეტრი უნდა გაევლოთ, ჭაბუკებს — 110.

ასპარეზობა მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. გოგონთა რბოლის დროს კურიოზული შემთხვევა მოხდა: ფინიშის ხაზი ორმა სპორტსმენმა ერთდროულად გადაკვეთა. საერთოდ, ასეთ შემთხვევაში გამარჯვებულის ვინაობას ფოტოფინიშში არკვევენ. ხოლმე. ამჯერად ეს ვერც მან მოახერხა, რადგან ორივე ველოსიპედის წინა თვლებმა ერთდროულად გაიარა საფინიშო ხაზი. მსაჯების ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ძალაში შევიდა დებულება: ორ სპორტსმენს შორის გამარჯვებული დამატებით, კილომეტრიან რბოლას უნდა დაესახელებინა.



ნორმან მჭედლიძე.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეროვნული კომისარი ვ. ვორონოვი გაოცებას ვერ მალავდა — დიდი ხანია ასეთი დაძაბული რბოლა არ მინახავს, გამარჯვების ბედის გადასაწყვეტად ამ ხერხის გამოყენება კი საერთოდ პირველია ჩემს ოცდათხუთმეტწლიან პრაქტიკაში, ასეთი რამ სპრინტერებთანაც კი ძალზე იშვიათად ხდებაო.

„დუელში“ რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს გუნდის წევრმა გალინა მაქსიმენკომ გაიმარჯვა. მეორე ადგილი მის თანაგუნდელ მარგარიტა სტარკოვას ხვდა წილად. მესამე იყო ვიქტორია დმიტრიჩენკო, სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ წარმომადგენელი. საქართველოს ნაკრების წევრებიდან მხოლოდ ელენა ფოკინამ შეძლო დისტანციის დამთავრება — იგი 31-ე იყო.

შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ 110 კილომეტრზე მოასპარეზე ჭაბუკები. ბრძოლა აქაც საინტერესო გამოდგა. გამარჯვება წილად ხვდა დინამოელ სერგეი ბიკოვს. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების შედეგები ასეთია: მე-11 ნორმან მჭედლიძე, მე-14 ვიქტორ ოვანესიანი, მე-19 ევგენი ონიშჩენკო, 22-ე მამუკა შუბითიძე, 34-ე ალექსანდრე პავლუხინი.

რბოლების დამთავრების შემდეგ დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, საერთო ფიზიკურ მომზადებაში გამარჯვებულებიც: გოგონები — ნადეჟდა რომარევა (რსფსრ), ოქსანა ჩებოტარიოვა (პროფკავშირები-I), ელენა ვოლოშინა („უროჟაი“); ჭაბუკები — დმიტრი ბეზუში („დინამო“), დმიტრი მაზნევი (რსფსრ), ნორმან მჭედლიძე (საქართველო).

კვარცხლბეკი:

გოგონები: 6 კმ. 1. გალინა მაქსიმენკო (რსფსრ) 1:28.39; 2. მარგარიტა სტარკოვა (რსფსრ) 1:28.39; 3. ვიქტორია დმიტრიჩენკო („უროჟაი“) 1:28.39.

ჭაბუკები. 110 კმ. 1. სერგეი ბიკოვი („დინამო“) 2:35.40; 2. ვლადისლავ ტარასენკო (სამხრ. ზონა) 2:35.40; 3. ჰენრიხ ტრუმგელერი (რსფსრ) 2:35.53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს შეჯიბრებები გრძელდება

თბილისში — სამბოში, ფეხბურთში, ფრენბურთში (ჭაბუკები), ხელბურთში (ჭაბუკები);

სოხუმში — ფრენბურთში (გოგონები);

რუსთავში — ფეხბურთში;

თელავში — მაგიდის ჩოგბურთში;

სამტრედიაში — ჭადრაკში.

დღეს შეჯიბრებას იწყებენ:

თბილისში — ხელბურთელები (გოგონები);

ბათუმში — მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები.

საერთო გუნდური ადგილები

(არაოფიციალური ჩათვლა)

ცხრილში შეტანილია შვიდი სახეობის (წყალბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ძალოსნობა, მძლეოსნობა, ცურვა, საბაიდარო ნიჩბოსნობა და კრივი) შედეგები:

	ქულა
1. პროფკავშირები II	2473
2. პროფკავშირები I	2433,5
3. რუსეთის ფედერაცია	2410
4. „დინამო“	2015,5
5. უკრაინა	1489
6. საბჭოთა არმია	1193,5
7. დასავლეთი ზონა	1131,5
8. სამხრეთი ზონა	933
9. საქართველო	880
10. „შრომითი რეზერვები“	718,5
11. „უროჟაი“	383,5

მედლები, მედლები

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
1. პროფკავშირ. I	50	23	20	93
2. რუსეთის ფედ.	26	22	30	78
3. პროფკავშირ. II	15	25	23	63
4. „დინამო“	10	20	29	59
5. უკრაინა	8	11	9	28
6. დასავლეთი ზონა	5	14	9	28
7. საქართველო	9	6	11	26
8. საბჭოთა არმია	6	9	5	20
9. სამხრეთი ზონა	6	2	8	16
10. „უროჟაი“	5	2	7	14
11. „შრომ. რეზ.“	4	4	3	11

შენიშვნა: ცხრილში არ არის შეტანილი საგზატკეცილო ველოსპორტის შედეგები.



ალაკაი კიბორძალიძე.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

სადაც არა სჯობს...

მძიმე წონაში დამარცხების შემდეგ გრიგორი ვერიჩევს აბსოლუტურ კატეგორიაში გამოსვლის სურვილი, როგორც ჩანს, დაეკარგა და ნაკრების მწვრთნელებმა მას ნება დართეს დაესვენა. ასე რომ, ალაკაი კიბორძალიძეს მეორე ოქროს მედლის მოპოვების შანსი გაუჩნდა. თუმცა ხელუაბოსაკრავი მეტოქეები არც აბსოლუტურ წონაში ჰყავდა.

სხვათა შორის, აქ ბედი ქვემძიმე წონაში გამარჯვებულმა გორელმა კობა კურტანიძემაც სცადა: პირველი ორი ბრძოლა მან შედარებით ადვილად მოიგო, მესამე წრეში კი ალექსანდრე ტარასოვს შეხვდა, მასზე 41 კილოგრამით მძიმე ძიუდოისტს. ბრძოლის ბედი ამჯერად, და ეს ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო, მეტოქის ზედმეტმა კილოგრამებმა გადაწყვიტა. ერთ შუამენტში კურტანიძემ მოგვერდის ჩატარება სცადა, მაგრამ ტატამზე უხერხულად დაეცა და თან ეს ვეებერთელა მასა „წამოიღო“. ზემოდან მოქცეულ ტარასოვს შებოჭვის ჩატარება არ გასჭირვებია და წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში კურტანიძე დნეპროპეტროვსკელ ოლეგ ზინჩენკოსთან დამარცხდა.

ტარასოვი ფინალში გავიდა, სადაც მას ალაკაი კიბორძალიძესთან შეხვედრა ელოდა. ამ ორთაბრძოლამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ შეხვედრა შედარებით ხანმოკლე გამოდგა. ქართველმა ძიუდოისტმა მეოთხე წუთზე შებოჭა მეტოქე და წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

კარგად ჩაატარა თბილისის საერთაშორისო ტურნირი გორელმა გია თენაძემაც (71 კგ). იგი ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ნახევარფინალში ალმაათელ კაირატ მისიკბაევთან ბრძოლაში „იპონის“ ჩატარებისას, წარბი დაიზიანა და ფინალში გამოცდილ ფრანგთან მარკ ალექსანდრს მთელი ძალით ვეღარ ეჭიდავა. თუმცა ასეთ სიტუაციაში ვერცხლის მედალის მოპოვებაც დიდი ვაჟკაცობაა.

ზემოგანხილულ ნახევარფინალური შეხვედრა მისიკბაევისთვისაც საბედისწერო გამოდგა. თენაძესთან ჭიდაობაში მიღებული ტრავმის გამო მეხამე ადგილისთვის ბრძოლას გამოეთიშა და ბრინჯაოს მედალი უბრძოლველად თამაზ ნამგალაურმა (თბილისი) მიიღო.

უპირატესობის შენარჩუნებას ძიუდოში ისეთივე ოსტატობა სჭირდება, როგორიც მის მოპოვებას, ოსტატობას მოუჭიდავე წლების მანძილზე იძენს სხვადასხვა ტურნირებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობით. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ამ მხრივ კარგი გაკვეთილი იქნება 29 წლის თბილი-

იხ. მე.4 გვ.

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

საქართველოს მოკრივეთა გუნდი უძლიერესია

შესანიშნავად ასპარეზობენ ქუთაისის რინგზე საქართველოს მოკრივეები. ეს დაადასტურა ნახევარფინალურმა შეხვედრებმა, რომელიც 25 ივლისს გაიმართა. ამ დღეს სარბიელზე გამოვიდა 13 ჩვენი მოკრივე, რომელთაგან ცხრამ ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

არმენ გევორქიანმა (50 კგ) ტექნიკურად სწორად წარმართა ბრძოლა რსფსრ-ის განათლების სამინისტროს გუნდის წევრ ოლეგ შჩუკინთან და ფინალში გავიდა.

57 კგ-მდე წონით კატეგორიაში ფინალისტი ამავე გუნდების წევრების ი. დამბაევისა და რ. ბიკვაიძის ორთაბრძოლაში გამოვლინდა. როინმა სამივე რაუნდში დაჯაბნა მეტოქე და ხუთივე მსჯავრი მას მიაკუთვნა გამარჯვება. კახაბერ ტურავამ (70 კგ) წარმატების იმედი არ დაუტოვა პროფკავშირების II გუნდის წარმომადგენელ ა. ტენიუხინს. ნახევარფინალურ შეხვედრაში ტექნიკურად იბრძოდა დ. ავდალიანი (79). მან აშკარა უპირატესობით დაამარცხა სამხრეთის ზონის წარმომადგენელი ა. ჩისტილოვი. ასევე ხუთივე მსჯავრი მიაკუთვნა გამარჯვება ჩვენი ნაკრების მძიმე წონის მოკრივეს ა. ბურდიანცს, რომელმაც ა. ჩერნიხს (რსფსრ) სძლია.

რინგზე საღამოს გამოსულთაგან ოთხმა ქართველმა მოიპოვა ფინალში ბრძოლის უფლება. კახაბერ ჩიქვინიძის (50 მეტოქე დ. რასკიტკო („შრომითი რეზერვები“) საბრძოლველად არ გამოცხადდა, გოჩა აბსარიძემ კი (54) შეუპოვარ ორთაბრძოლაში სძლია სამხრეთის ზონის ნაკრების წევრს უ. კარიმოვს. 66 და 74 კგ წონით კატეგორიებში ფინალისაკენ გაიკაფეს გზა ა. ოჩიგავამ და თ. ბუაძემ. მათ შესაბამისად დაამარცხეს ს. ფედოტოვი (პროფკავშირები II) და ა. პეტროვსკი („დინამო“). ამ დღეს ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს კ. ესოიანმა (48 კგ), მ. კოლუაშვილმა (52), ვ. აბსარიძემ (46) და ლ. კალანდაძემ (63).

ელვა-ინფორმაცია

გუშინ ქუთაისში დამთავრდა მოზარდთა სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშების ფინალური შეხვედრები კრივში. თამაშების ჩემპიონები გახდნენ საქართველოს წარმომადგენლები: გოჩა აბსარიძე (54 კგ), როინ ბიკვაიძე (57), ალბერტ ოჩიგავა (66), თამაზ ბუაძე (74), დიმიტრი ავდალიანი (79).

ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ არმენ გევორქიანი (44), კახაბერ ჩიქვინიძე (50), კახაბერ ტურავა (70), არმენ ბურდიანცი (85).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველო — 70 ქულა, 2. პროფკავშირების II ნაკრები — 45, 3. პროფკავშირების I — 44.

სამაგალითო ფინიში

კვირას, მობაიდარეთა და კანოისტთა რეგატის ბოლო დღეს, საქართველოს ნიჩბოსნებს ხუთჯერ უხმეს მთავარი ფინალის სტარტზე. ჩვენი ნიჩბოსნების საუკეთესოთა შორის, ანუ მედლებისათვის შებრძოლთა ექვსეულში მოხვედრა გარკვეულ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ, ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ჩვენც მედალზეც დავიწყეთ ფიქრი, თუმცა დაიწყო ფინალური რბოლები და ნათელი გახდა, რომ ჩვენი ქვეყნის რჩეულ მოსწავლე სპორტსმენებთან ბრძოლაში მედლის მოპოვება ძნელი საქმე იქნებოდა, რადგან 500 მეტრზე ორადგილიანი კანოებით რბოლაში ხვიჩა გიგიბერიამ და ბენო ოჩიგავამ VI ადგილი დაიკავეს და უკეთესად ვერც ამავე დისტანციაზე მოასპარეზე მობაიდარე გოგონათა ოთხეული გამოვიდა — ხათუნა ლომაძემ, ნინო წურწუმიამ, ნინო მუსოევამ და მაია ჩიტაიამ მთავარი ფინალური რბოლის ფინიში ყველაზე ბოლოს გადაკვეთეს და მათაც VI ადგილი დაიკავეს. აკაკი უსუფაშვილი-მალხაზ ლომაძე (ორადგილიანი ბაიდარა, 1000 მეტრი) — VI ადგილი, ხვიჩა გიგიბერია-ბ. ოჩიგავა (ამჯერად 1000-მეტრიან დისტანციაზე) — VI...

მართალია, იმ დღეს მცხეთელ ნინო მუსოევას საერთო ფიზიკურ და სპეციალურ მომზადებაში დაკავებული II ადგილისთვის ვერცხლის მცირე მედალი გადასცეს, მაგრამ დილიდანვე ყველას ერთი კითხვა არ გვასვენებდა, ნუთუ ხუთი ფინალური რბოლიდან ერთში მაინც ვერ მოვიპოვებთ მედალს?

ბოლო ფინალური რბოლის წინ, როცა სტარტზე 1000 მეტრზე მოასპარეზე მობაიდარე ვაჟთა ოთხეული გავიდა, მედლის მოპოვების იმედი თითქმის აღარ გვქონდა, რადგან ჩვენი ოთხეულის ორმა წევრმა ა. უსუფაშვილმა და მ. ლომაძემ ნახევარი საათით ადრე ორადგილიანი ბაიდარებით იასპარეზეს და დაღლილები იყვნენ.

უკან დარჩა 500 მეტრი. ჩვენი ოთხეული ბოლო ადგილზეა... ბევრმა ხელი ჩაიქნია, მაგრამ... ფინიშამდე დარჩენილ, მცირე მონაკვეთზე ჩვენმა ბიჭებმა საგრძნობლად გაზარდეს ტემპი, ძლიერად მოუსვეს ნიჩბები, ფინიშის ხაზი მეორე ნავის შემდეგ გადაკვეთეს და წინ მიშავალთ ორი მტკაველით ჩამორჩნენ.

ამას კი აღარ ველოდით, არ ველოდით იმიტომ, რომ სხვა რგოლებში სწორედ სუსტი ფინიში იყო ჩვენი ნიჩბოსნების ჩამორჩენის მიზეზი. დიახ, ბრინჯაოს მედალოსან ვაჟთა ოთხეულის ფინიში ჭეშმარიტად სამაგალითოა ჩვენი ნიჩბოსნებისთვის.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაახარებდა ჩვენს ნიჩბოსნებს ეს ჯილდო. ბიჭები ხმაჩახლეჩილ (ფინიშამდე ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდა და შეძახილებით ამხნევებდა მათ) და უზომოდ გახარებულ დამრიგებელს, საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს სულიკო ციცქიშვილს შემოეხვევნენ, ხელში აიტაცეს და... ტრადიციისამებრ წყალში ჩააგდეს.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი სპორტსმენები IX ადგილზე გავიდნენ.

ფეხბურთელთა ტურნირზე

ფეხბურთელთა ტურნირში „ა“ ჯგუფის ორი შეხვედრა მეორე ტურში საკმაოდ დაძაბული გამოდგა, რაც გუნდების სტურნირო მდგომარეობამ განაპირობა. პირველ მატჩში, რომელიც გ. დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართა, საქართველოს გუნდი უკრაინის განათლების სამინისტროს ნაკრებს შეხვდა. ჩვენმა მკითხველებმა იციან, საქართველოს ნაკრებმა პირველ ტურში ფრედ ითამაშა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დასავლეთის ზონის გუნდთან და ჯგუფში ლიდერობის დასამკვიდრებლად უნდა მოეგო უკრაინელთათვის, რომლებმაც წინა შეხვედრაში სძლიეს „შრომითი რეზერვების“ გუნდს.

უკრაინელთა პირველ შეტევას მასპინძელთა საკმაოდ ხანგრძლივი კონტრიერიში მოჰყვა, ერთ-ერთი შეტევისას გია ნემსაძემ ოსტატურად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს, მაგრამ კარში სუსტად დაარტყა. მალე ცხადი გახდა, რომ მასპინძლები მხოლოდ ცალკეული გარღვევებით აპირებდნენ მიზნის მიღწევას და თავს არიდებდნენ მრავალსვლიან კომბინაციურ იერიშებს, ეს კი დიდ ფიზიკურ დატვირთვასთან იყო დაკავშირებული. საამისოდ მათ აშკარად არ ეყოთ ძალა. ნასუაშვილმა, თამაშის მიწურულს ორჯერ ზედიზედ განახორციელა ძალზე სახიფათო რეიდი, მაგრამ დროზე არ გადაწოდა პარტნიორს, რასაც შეიძლებოდა გოლი მოჰყოლოდა. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

II ტურში „ა“ ჯგუფის გუნდებმა ერთმანეთთან ასე ითამაშეს: „შრომითი რეზერვები“ — პროფკავშირები-I 0:3. „ბ“ ჯგუფში, რომლის მატჩები რუსთავში მიმდინარეობს, „დინამოს“ ნაკრებმა მეორე მარცხი განიცადა, ამჯერად რსფსრ-ს განათლების გუნდთან — 1:2, ხოლო განათლების სამინისტროს სამხრეთის ზონის გუნდმა მოუგო „ურაოაის“ — 5:2.

გუშინ საქართველოს ფეხბურთელები „შრომითი რეზერვების“ გუნდს შეხვდნენ. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 4:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ბიჭები კი ფინალში არიან

ფინალური ექვსეულიქართველოს მოკრივეთა გოგონების გარეშე [illegible] რომუდგენელია, მაგრამ ბოლო ტურში ! ჩვენი გოგონები საკავშირო განათლების სამინისტროს (სამხრეთი ზონა) გუნდს დამარცხდნენ (1:2) და ბრძოლა გამოეთიშნენ. მართალია, სოფელ ნიკოლაძემ მოუგო მარია ოჩიგავას (სხვათა შორის სოფიკომ ტურნირზე სამივე პარტია მოიგო), მაგრამ თეა ლანჩავა და ნინო [illegible] რციძე დამარცხდნენ (შესაბამისად ოლგა იაშენკოსა და იულია კ[illegible] მოვასთან).

სამაგიეროდ ბიჭებმა გაგვახარ[illegible] — წინა ტურში განცდილი [illegible] ცხის შემდეგ მათ ძალა მოიკრიბ[illegible] და დიდი ანგარიშით — 4,5:1,5 [illegible] უგეს ძალიან ძლიერ მეტოქეს [illegible] სამხრეთი ზონის გუნდს (გა[illegible] ჯვეს რომან სიჭინავამ, დავით [illegible] ლიძემ, შოთა კუჭუხიძემ [illegible] გივი ქორიძემ. აკაკი იაშვილი [illegible] უზავდა მეტოქეს, იოსებ კვარ[illegible] ვილმა წააგო პარტია).

ამრიგად, ჩვენმა ჭაბუკებმა [illegible] ნალური ტურნირის საგზური [illegible] იპოვეს.

ახლა გთავაზობთ ფინალისტ[illegible] სიას, იმ ქულების მითითებით, [illegible] მელიც მათ ჯგუფურ ტურნ[illegible] თავიანთ უშუალო მეტოქეებ[illegible] შეხვედრებში მოაგროვეს.

გოგონები: უკრაინა — 0,5 [illegible] საკავშირო განათლების სამინ[illegible] რო (სამხრეთი ზონა) — [illegible] რსფსრ-1, საკავშირო პროფკავ[illegible] თა II გუნდი — 2, საკავ[illegible] პროფკავშირთა I გუნდი — [illegible] საკავშირო განათლების სამინ[illegible] რო (დასავლეთი ზონა) — 2,5.

ბიჭები: „ურაოაი“—6,5 ქ[illegible] ქართველო — 2,5, რსფსრ — [illegible] საკავშირო პროფკავშირთა II [illegible] დი — 6,5, საკავშირო პროფკავ[illegible] რთა I გუნდი — 3,5, უკრაინა—[illegible]

საკმარისია მოინდომო

დასასრული

თავსების მშენებლობა, მინდვრის განახლება...

კომისიის წევრებს უჩვენეს ის ადგილები, სადაც ყველაფერი ეს უნდა განხორციელებულიყო. მათ უნდობლად შეათვალიერეს ხის სკამებიანი მოწყვრილი, ხის პატარა სახლები, რომელთა ადგილზეც ახალი, თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კორპუსები და სასადილო უნდა წამომართულიყო და დაეჭვებულები დაბრუნდნენ მოსკოვში.

ეს იყო შარშან, თვრამეტ დეკემბერს, ორი თვის შემდეგ კი ისინი თვალებს არ უჯერებდნენ: ნათელი, სადღესასწაულო ფერებით შეღებილი ოცდაორთასადგილიანი ტრიბუნები, ვერცხლისფერ კონსტრუქციებზე აღმართული თანამედროვე ტაბლო, განათების ელეგანტური ანძები, მშვენიერი სათადარიგო მოედანი, ახალი ბაზა ქალაქგარეთ, კომფორტული სასტუმრო...

ყველაფერ ამის გაკეთებას ორ თვეზე ცოტა მეტი დრო დასჭირდა.

როცა პარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველ მდივანს ე. ბერიძეს ვკითხე, მაინც როგორ მოხდა, რომ ყველაფერი ფანტასტიკურად მოკლე დროში მოესწრო, მიპასუხა: „ენთუზიაზმის წყალობით, ხალხის ინიციატივით!“

თუმცა, ყველაფერზე თანმიმდევრულად ვისაუბროთ.

შარშანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ ერთი კვირის თავზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სახავს ღონისძიებებს „გურიას“ საფეხბურთო გუნდის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ. გაირკვა: ადრინდელი, უკვე მომზადებული სტადიონის პროექტი მოძველდა და თბილისში დაიწყეს ახლის შემუშავება. ნახაზები დედაქალაქიდან დაუყოვნებლივ იგზავნებოდა მშენებელთა სამუშაო მაგიდაზე.

ლანჩხუთში შეიქმნა ოპერატიული შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რაიაღმასკომის თავმჯდომარე თ. გუგუნავა. მშენებლობა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ობიექტად გამოცხადდა. დაიწესა რა თავის საგუშაგო, რესპუბლიკური გაზეთი „ლელო“ რეგულარულად იუწყებოდა სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ, სატელევიზიო პროგრამა „მოამბე“ ყოველკვირეულად უთმობდა ეკრანს მშენებლობას.

როცა საჭირო გახდა მშენებლობაში დახმარება, პირველებმა მეზობლებმა გამოიღეს ხელი. მშენებლები მოვიდნენ ხობის, სამტრედიის, ზუგდიდის, ცხაკაიას რაიონებიდან, მუშაობდნენ სამ ცვლად, ძალის დაუზოგავად, ნებისმიერ ამინდში. ამინდი კი გასულ ზამთარში .პირდაპირ ჯიბრში ჩაუდგა მათ ხასიათს. მაგრამ საქმე არ შეფერხებულა. მახარაძიდან მოვიდა სამშენებლო ფილები, რუსთავიდან მეტალოკონსტრუქციები, რესპუბლიკის სახელმწიფო მომარაგებამ და „კავკაზელექტრომშენმა“ გამოყვეს ელექტრომოწყობილობა, პროექტორები, მართვის ფარი, კაბელი. ცნობილია, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული განათების ანძის მონტაჟი, ითქვა: „განათება საჩქარო არ არის. დასაწყისისთვის უამისობაც შეიძლება. მთავარია— ტრიბუნები, მინდორი. დრო გვაჩქარებს...“ მაგრამ ჩანაფიქრზე უარის თქმას არავინ აპირებდა. და უნდა გენახათ, სიცივისა და თებერვლის მომაბეზრებელი წვიმის მიუხედავად, ერთ საღამოს, როცა განათების პირველი საცდელი ჩართვა უნდა მოეხდინათ, როგორ აიკვნესა ჯერ ისევ მშენებარე სტადიონი ხალხით. ლაბადებით, ქოლგებით, წვიმისაგან თავდასაცავი ნაირ-ნაირი მოსასხამებით ისინი ისხდნენ დაუმთავრებელ ტრიბუნებზე და უხმოდ, მაგრამ სიამაყით შესცქეროდნენ აკაშკაშებულ პროექტორებს, მათ მხიარულ სახეებს რომ ანათებდა.

თუმცა ნამდვილ ზეიმამდე კიდევ შორს იყო. მართალია, მასალებისა და მოწყობილობების მოწოდებაზე სამდურავი არ ითქმოდა, მაგრამ მუშახელი აშკარად არ კმაროდა. ლანჩხუთის გაზეთი „კომუნისტური შრომა“ ყოველ ნომერში მიმართავდა მკითხველებს მონაწილეობა მიეღოთ მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე. ხალხი გამოეხმაურა მოწოდებას. დასვენების დღეებში და სამუშაოს შემდეგ ისინი შინ იღებდნენ ნიჩბებს, ტვირთის საზიდრებს, სხვა ინვენტარს და მიდიოდნენ ქვაბულის გასათხრელად თუ საძირკველის ჩასაყრელად. სტადიონზე, ერთხელ, მაშინ, როცა შტაბის დილის სხდომა მიმდინარეობდა, ექვსი ჭაბუკი გამოჩნდა, წყალტუბოდან იყვნენ — სარემონტო სამმართველოდან.

— შვებულება გვაქვს. გვინდა დავეხმაროთ მშენებლებს — განაცხადეს მათ.

— მოგვეციო სამუშაო...

დროსთან ჭიდილში გაილია ორ თვეზე ცოტა მეტი. მშენებლებს გამარჯვება რომ დარჩენოდათ, საჭირო იყო გამუდმებული ძიება, მოსინჯვა, ექსპერიმენტები.

აქ მინდა მცირე გადახვევა გავაკეთო. ყველამ კარგად იცის, რომ ამ პერიოდში საქართველოს ცალკეულ რაიონებს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება. ალბათ იკითხავთ: „ღირდა კი სტადიონის მშენებლობა, ამდენი ძალებისა და სახსრების გაღება, როცა რესპუბლიკაში ასეთი უბედურება მოხდა, ხომ არის უფრო მნიშვნელოვანი საქმეები?“

ყველა დროში ჩვენი ხალხი, გაჭირვების მიუხედავად, აგრძელებდა მშენებლობას, ქმნიდა, — თქვა ამის შესახებ ე. ბერიძემ. — მთავარი როლი ითამაშა ადამიანების უანგარობამ.

თითქოს რაიკომის პირველი მდივნის სიტყვები დაადასტურა სტადიონის გახსნისას მიღებულმა დეპეშამ: „ძმაო ლანჩხუთელებო — ვამაყობთ თქვენი წარმატებით. გისურვებთ ახალ გამარჯვებებს, თქვენი სიხარული დღეს ჩვენ ძალიან გვეხმარება“.

დეპეშა სვანეთიდან იყო...

რაც უფრო ახლოვდებოდა ფინიში, გზადაგზა მით უფრო მეტი ახალი იდეები იბადებოდა. ვიღაცამ წინადადება წამოაყენა ცენტრალური ტრიბუნის წინ მოეწყოთ შადრევანი განათებით. პროექტით ეს არ იყო გათვალისწინებული. მაინც გამნახეს დრო და სახსრები — დე, თვალმა გაიხაროს. როცა ორსართულიანი სახლი სამსაჯო ოთახით, გასახდელებით და საექიმო კაბინეტით უკვე მზად იყო ჩასაბარებლად, მოულოდნელად წამოიჭრა საკითხი, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ამ შენობიდან ფეხბურთის მინდორზე გასასვლელი. რაკი ეჩქარებოდათ, გადაწყდა ბჭობა აღარ დაეწყოთ — დერეფანი ტრიბუნებიდან მავთულბადით გამოეყოთ.

— ეს ხომ ულამაზო იქნება, — არწმუნებდა მშენებლობის შტაბის წევრებს „კოლხმშენის“ თავმჯდომარე თ. კეკელიძე. — მოდით, ისე ვიკეთოთ, როგორც მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზეა, — მიწისქვეშა გვირაბი. ერთი კვირა მომეცით, მხოლოდ ერთი კვირა...

არ ინანეს — ყველაფერი უმაღლეს დონეზე გაკეთდა, როგორც სხვა დანარჩენი. დიახ, წვრილმანი არაფერი ყოფილა: ტრიბუნებისთვის საღებავის სპეციალური ფერები შეირჩა, ჩამოიტანეს და დარგეს არყის ხის ნერგები, მაქსიმალურად მოხერხებული პირობები შექმნეს ჟურნალისტებისთვის. განსაკუთრებული უურადღება გამოიჩინეს სტუმრებისადმი. მათ განკარგულებაშია კომფორტაბელური ნომრები სასტუმროში, კარგი სავარჯიშო მინდორი, მორიგე ავტობუსი.

— ჩვენ მიგვიღეს ყველაზე მაღალ დონეზე, — განაცხადა ლანჩხუთში სეზონის პირველი მატჩის წინ დედაქალაქის „სპარტაკის“ უფროსმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა — კაცმა, რომელიც უსაზღვროდ მომთხოვნია, ბევრი რამ უნახავს თავის სამწვრთნელო მოღვაწეობაში. შემდეგ იგივეს იმეორებდნენ მისი კოლეგები ლანჩხუთში სტუმრობისას.

...ის საზეიმო დღე მასპინძლებისთვის განსაკუთრებული საზრუნავით იყო აღსავსე. ვარაუდობდნენ. მაყურებელთა არნახულ მოზღვავებას. მართლაც, თოვლისა და წვიმის მიუხედავად სტადიონს მაყურებელი მატჩამდე სამი საათით ადრე მოაწყდა. ტრიბუნებზე წესრიგის დასაცავად, მათგან ვისაც ეს ევალება, ბევრი რამ გვსმენია ასეთ დროს სირთულეების შესახებ და ეს ეხება დიდ ქალაქებს, წარმოიდგინეთ, რა სიძნელეები იჩენებოდა მაშინ მოსალოდნელი პატარა ლანჩხუთში, სადაც სტადიონს ორჯერ მეტი მაყურებელი მოაწყდა, ვიდრე იტევს? მაგრამ ამ დღეს და მაშინაც, როცა მე ჩავედი ლანჩხუთში „გურია“ — „ჟალგირისს“ მატჩზე, წესრიგი იდეალური იყო: ტრიბუნები აივსო და დაიცალა ყოველგვარი ზედმეტი ჩოჩქოლისა და დიქტორის მრავალრიცხოვანი შეხსენებების გარეშე. მშვიდნი, ფრთხილნი იყვნენ გულშემატკივრები, მილიცია — თავაზიანი.

— სტადიონი ახლა ჩვენთვის არის არა მხოლოდ ღირსშესანიშნაობა, სიამაყე, არამედ ეს არის ლანჩხუთელთა დასვენების ადგილი — ამბობს ე. ბერიძე. — სტადიონის კარი ყოველთვის ღია ყველასთვის ღიაა.

...თუ დასავლეთ საქართველოში ყოფნა მოგიწევთ, ნუ დაინანებთ დროს, წადით ლანჩხუთში და მოინახულეთ სტადიონი. თქვენ დარწმუნდებით, რომ სასწაულები შესაძლებელია. საკმარისია მხოლოდ მოინდომო, რომ ისინი იყოს.

ა. ლეონი.

ლანჩხუთი — მოსკოვი.

„სოვეტსკი სპორტი“, 25 ივლისი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

25-26 ივლისს გაიმართა ფეხბურთში უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-18 ტურის მატჩები, შაბათის შეხვედრათა შედეგები გამოქვეყნებული გვქონდა, 26 ივლისს კი ცსკა-მ თავის მინდორზე. მარცხი განიცადა კიევის „დინამოსთან“ შეხვედრაში — 0:2.

მოხდა ისე, რომ მე-18 და მე-19 ტურებში თავისებური „მინი-ტურნირია“ ჩემპიონატის აუტსაიდერთა შორის. ბოლო 4 ადგილზე იმყოფებოდნენ „დინამო“ (თბილისი), „ქაირათი“ (ალმა-ათა), „ზენიტი“ (ლენინგრადი) და „გურია“ (ლანჩხუთი), 25 ივლისს ერთმანეთს შეხვდნენ „ზენიტი“ — „დინამო“, „ქაირათი“ — „გურია“, 29 ივლისს კი ითამაშებენ „ქაირათი“—„დინამო“, „ზენიტი“ — „გურია“.

ფრიად სამწუხაროა, რომ უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ზრუნვა უხდებათ საქართველოს გუნდებს, მაგრამ ფაქტი ფაქტია, მას ვერსად წაუხვალ, ამიტომაც სწორედ ჩამორჩენილთა ამ „მინი-ტურნირს“ ბევრი რამ შეუძლია გადაწყვიტოს. მაგრამ პირველი შედეგები ჯერჯერობით სახარბიელო ვერაა, საქართველოს გუნდებმა 4 შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ქულა აიღეს და, ბუნებრივია, არც 29 ივლისს გვიძევს წინ გასართობი გასეირნება ალმა-ათისა და ლენინგრადის სტადიონებზე. მხოლოდ თავგამოდებულ ბრძოლას, მხოლოდ ძალების მაქსიმალურ, ზღვრულ მობილიზაციას შეუძლია ჩვენი გუნდების ხსნა.

ლენინგრადის „ზენიტის“ ბოლოდროინდელი ამბები ფეხბურთის მოყვარულებმა, ალბათ, კარგად იციან. „ზენიტმა“ 11 ივნისს მოსკოვში დაამარცხა გათამაშების ლიდერი „სპარტაკი“ — 3:1. ეს იყო ლენინგრადელთა ზენიტი წლევანდელ შეჯიბრებაში, მას შემდეგ გუნდმა ჩემპიონატის 5 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 4 წააგო და მხოლოდ ერთხელ მიაღწია ფრეს. „ზენიტმა“ 1984 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, მაგრამ, ეტყობა, გუნდმა ვერ გაუძლო თავისივე ამ დიდ წარმატებას, დიდ დატვირთვებს და სულ რაღაც სამიოდე წლის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უხდება ფიქრი. კოლექტივში ფრიად უსიამოვნო კონფლიქტი მოხდა, ზენიტელთა 16 ფეხბურთელმა გადაჭრით გაილაშქრა გუნდის მთავარი მწვრთნელის პ. სადირინის წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვა: ან ჩვენ, ან პ. სადირინი.

ლენინგრადელთა მთავარ მწვრთნელს დიდი დამსახურება მიუძღვის „ზენიტის“ წინაშე. როგორც ფეხბურთელს და როგორც მწვრთნელს, მაგრამ, ეტყობა, დრონი იცვლებიან, ეს მწვავე კონფლიქტი კი იმით დამთავრდა, რომ პ. სადირინს „ზენიტის“ დატოვება მოუხდა. გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა მისი ყოფილი მოთამაშე, მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული, სპორტის ოსტატი ვ. გოლუბევი. სწორედ ვ. გოლუბევმა გამოიყვანა „ზენიტი“ ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ სათამაშოდ. მატჩს სჯიდა მოსკოველი ა. კირილოვი. გუნდების შემადგენლობანი: **„ზენიტი“** — ბირიუკოვი, კუზნეცოვი (კანიშჩევი, 46), სტეპანოვი, ტიმოფეევი, აფანასიევი, ვორობიოვი, დოლგოპოლოვი, ივანოვი, ჩუხლოვი, ბარანიკი, კლემენტიევი; **„დინამო“** —გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, ცვეიბა, კორღალიძე (გოგრიჭიანი, 88), სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი, გურული (ქეცბაია, 86), შენგელია. გაფრთხილეს კორღალიძე, დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა — 1:0.

ამ მატჩში მასპინძლები საკმაოდ მალე დაწინაურდნენ: მე-8 წუთზე გადაცემა მიიღო კლემენტიევმა, დინამოელთა მცველებმა სწორად არ ითამაშეს და ლენინგრადელმა ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი გაბელიას კარში — 1:0.

გავიდა კიდევ 8 წუთი და თბილისელებმა თანაფარდობა აღადგინეს. „ზენიტის“ კარში დაახლოებით 18-19 მეტრიდან დაინიშნა საჯარიმო, კორღალიძემ ზუსტად დაარტყა და გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

შესვენებამდე მინდორზე შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობდა, თბილისელთა იერიშებს ხელმძღვანელობდა გამოცდილი შენგელია, მას შესაძლებლობაც ჰქონდა დაეწინაურებინა თავისი გუნდი, ხშირად უტევდნენ ლენინგრადელებიც, მაგრამ ორივე მხარის ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა, შესვენების შემდეგ კი თამაშის ტემპმა საგრძნობლად მოიკლო, მეტოქეები ზედმეტად ფრთხილობდნენ, დინამოელებს, ეტყობა, ხელს აძლევდა მეტოქის მინდორზე აღებული ქულა, ამიტომ ისინი მხოლოდ კონტრშეტევებს დასჯერდნენ და ის ქულაც აიღეს — 1:1.

აუტსაიდერთა მეორე წყვილი „ქაირათი“ და „გურია“ ალმა-ათის ცენტრალურ სტადიონზე შეხვდა ერთმანეთს. ალმაათელმა ფეხბურთელებმა ბოლო 6 შეხვედრაში მხოლოდ 2 ქულა აიღეს, ამასთან უკანასკნელი მატჩი ბაქოში გამანადგურებელი ანგარიშით წააგეს — 0:6. რაც შეეხება „გურიას“, მისთვის ახლა ყოველ კალენდარულ მატჩს, შინ იქნება ეს თუ სტუმრად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **„ქაირათი“** — ბურაკოვი, გრიჯანი, ტიმოფეევი, იაროვენკო, ვოლგინი, ვლასენკო (კარაჩუნი, 55), ოგაი, ლედოვსკიხი, სალიმოვი (სოროკინი, 64), მასუდოვი, ფეხლევანიდი; **„გურია“**— ქანთარია, ცომაია, რომანჩუკი, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი (ჯიშკარიანი, 67), კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, მეგრელაძე, ფრიდონაშვილი, მ. თევზაძე, მსაჯი რ. იუშკა (ვილნიუსი). დუბლიორები — 0:0.

თამაშის დასაწყისში „ქაირათის“ მცირეოდენი ტერიტორიული უპირატესობა ეპყრა, მაგრამ ლანჩხუთელებმა შეძლეს მათი წამყვანი ფორვარდის ფეხლევანიდის ნეიტრალიზება და საკმაოდ ხშირი კონტრიერიშების განვითარება, კერძოდ, ბურთის გატანა შეეძლოთ ხლუსს, კოპალეიშვილს, მეგრელაძეს.

39-ე წუთზე მსაჯმა „გურიის“ კარში 11-მეტრიანი დანიშნა. პენალტი იაროვენკომ დაარტყა, მაგრამ ქანთარიამ გამოიცნო ბურთის მიმართულება და კუთხურზე მოიგერია იგი.

მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთელებს აკლდათ რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელი (მახარაძე, დანელია, აკოფიანი, მიქაბერიძე), ისინი ენერგიულად, მონდომებით თამაშობდნენ, მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, ანგარიში კი 0:0 იყო, მაგრამ თამაშის დასასრულს მასპინძლები გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ და 81-ე წუთზე კარაჩუნმა ზუსტად დაამთავრა პარტნიორებთან გათამაშებული ერთ-ერთი კომბინაცია — 1:0. ასე, მხოლოდ მატჩის დასასრულს გადაწყდა ლანჩხუთელთათვის მეტად მნიშვნელოვანი მატჩის ბედი.

„თავიდან მოიცილებენ...“

გაზეთმა „იზვესტიამ“ ა. წ. 27 ივლისის ნომერში გამოაქვეყნა წერილი „თავიდან მოიცილეს..“, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელთა სატელეფონო ზარმა მოულოდნელობის წინაშე დაგვაყენა. იმის შესახებ, რაც მინსკიდან შემატყობინეს, არაფერი იცოდა არც ფეხბურთის მოყვარულთა ფართო წრემ, არც სპეციალისტებმა, არც ეურნალისტებმა. ამაზე სიტყვა არ იყო ნათქვამი არც „სოვეტსკი სპორტის“ საანგარიშო წერილში ლანჩხუთის „გურიისა“ და მინსკის „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატის მატჩის შემდეგ, არც საფეხბურთო ტელემომოხილვაში.

რა მოხდა ლანჩხუთის სტადიონზე? ფიწალურ სასტვენამდე ერთი წუთით ადრე მასპინძლებმა ზუსტად გამოიყენეს პენალტი და დაწინაურდნენ ანგარიშით 2:1. თამაში, როგორც ეს წესი და რიგია, უნდა მინდვრის ცენტრიდან განახლებულიყო, ცდილობდა რა დაეჩქარებინა თამაშის მსვლელობა, დინამოელმა ალექსანდრე კისტენმა სცადა ბურთი გამოეტაცა მალხაზ მახარაძისთვის. შეიძლება, მან ეს მაინცდამაინც თავაზიანად არ გააკეთა და მეტისზე პასუხად მიიღო... უძლიერესი დარტყმა სახეში. იგი გრძნობადაკარგული დაეცა.

უკვე იმავე წუთებში მინსკის „დინამოს“ ექიმმა ვასილი დმიტრაკოვმა მინდორზე გამოსვლისთანავე დასვა დიაგნოზი: უბის მოტეხილობა. ეს შემდგომში სავსებით დადასტურდა. მინსკელ ფეხბურთელს სპეციალური სახვევი დაადეს, იგი ორი თვით გამოვიდა მწყობრიდან.

ფეხბურთელმა უმძიმესი ტრავმა მიიღო. ხულიგნობა — სხვაგვარად ვერც ვუწოდებთ მ. მახარაძის საქციელს. სხვა ვითარებაში ასეთ მოქმედებაზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, ვინაიდან ადამიანს სხეულის ხელოვნური დაზიანება მიაყენეს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომიის სხდომაზე ამ კონფლიქტის განხილვისას ჩხუბის წამოწყებად ა. კისტენი მიიჩნიეს, ხოლო მ. მახარაძეს 8 თამაშით მისცეს დისკვალიფიკაცია. ასეთი „ბუმანური“ განაჩენი გამოიტანეს.

მაგრამ გამოვლინდა სულ სხვა, საოცარი ამბები. თურმე, არც მთავარ არბიტრს ტომსკელ ნ. იუროვს, არც მის თანაშემწეებს სარატოველ ლ. სერდიუკოვს და კემეროვოელ ვ. რაზდაევს მინდორზე მომხდარი ეს საკონფლიქტო სიტუაცია... არ დაუნახავთ, ამიტომაც მსჯელობისგან თავს იკავებენ. ნ. იუროვმა მატჩის ოქმშიც კი არც ერთი სიტყვა არ ჩაწერა მომხდარ ამბავზე, არც გაფრთხილება, არც გაძევება. გასაკვირია: სად იყვრებოდნენ იმ მომენტში მსაჯები?

ყველაფერი ეს ნახა მატჩის ინსპექტორმა ი. ვოლჩოკმა და სიტუაცია სრულად აღწერა თავის პატაკში, თუმცა, უურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, თუ რამდენად სერიოზული იყო ა. კისტენის ტრავმა.

სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე გამოვიდა მ. მახარაძეც. მომხდარი ამბავი „გურიის“ ფეხბურთელმა დაახლოებით ასე ახსნა: კისტენმა უხეშად მოარტყა მას უკნიდან ფეხებში, მწვავე ტკივილი იგრძნო და ემოციას აყოლილმა ხელი მოიქნია.

აი ასე, მოიქნია და ეგ იყო სულ.

მე კი მგონია, რომ მთელი ეს კონფლიქტი თავიდან მოიცილეს არბიტრებმაც და სპორტტექნიკური კომისიის წევრებმაც. თვით მგავარი ტრავმის ფაქტი ფეხბურთში თავისთავად უკვე უპრეცედენტოა და პრინციპულ შეფასებასაც იმსახურებს. სამწუხაროა, რომ ჩვენი საფეხბურთო თემიდა უკვე მერამდენედ გასაოცარ შეუსაბამობას იჩენს საფეხბურთო კანონებსა და ფორმალიზმს შორის.

ა. პეტროვი.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი	მდგომარეობა 28 ივლისისთვის						
	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	19	9	8	2	31-18	26	(—12)
2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	18	9	5	4	23-11	23	(—13)
3. „ტორპედო“ (მოსკოვი)	19	7	9	3	19-12	23	(—15)
4. „უალგირისი“ (ვილნიუსი)	18	9	4	5	26-18	22	(—14)
5. „არარატი“ (ერევანი)	18	9	1	8	20-25	19	(—17)
6. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	18	7	5	6	15-16	19	(—17)
7. „შახტიორი“ (დონეცკი)	18	6	7	5	16-16	19	(—17)
8. „დინამო“ (კიევი)	15	7	4	4	23-11	18	(—12)
9. „დინამო“ (მოსკოვი)	19	5	8	6	14-17	18	(—20)
10. „ნეფტჩი“ (ბაქო)	19	6	5	8	23-20	17	(—21)
11. „დინამო“ (მინსკი)	18	6	5	7	17-17	17	(—19)
12. „ქაირათი“ (ალმა-ათა)	18	6	3	9	13-24	15	(—21)
13. „დინამო“ (თბილისი)	18	5	5	8	17-22	15	(—21)
14. ცსკა	19	5	5	9	17-24	15	(—23)
15. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	19	3	7	9	14-27	13	(—25)
16. „გურია“ (ლანჩხუთი)	17	3	5	9	9-19	11	(—23)

საქართველოს პირველობა

25-26 ივლისს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXIV ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის:

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 4:1, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1, „დინამო“ (ზუგდიდი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „სქურა“ (წალენჯიხა) — „სულოლო“ (ვახი) 2:0, „[illegible]ტი“ (ცხინვალი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:3, „ივერია“ (ხაშური) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „კახეთი“ (თელავი) 4:2, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:2, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „დინამო“ (გაგრა) 4:1, „ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:4, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 6:0.

ვეტერანთა მატჩი

მოსკოვში „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩის დამთავრების შემდეგ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე შედგა ამავე კლუბების ვეტერანთა მატჩი.

გაიმარჯვეს დინამოელებმა —3:0, ორი ბურთი გაიტანა კოზლოვმა, ერთი — გერშკოვიჩმა.

მსოფლიო ჩემპიონები

ტორონტოში დამთავრდა 16 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. კანადის საფეხბურთო მინდვრებზე ჭაბუკთა მეტად საინტერესო თამაშები მიმდინარეობდა.

25 ივლისს ერთმანეთს შეხვდნენ III ადგილისთვის მებრძოლი კოტ დივუარისა და იტალიის გუნდები. იტალიელი ფეხბურთელები დამარცხდნენ — 1:2, ბრინჯაოს მედალი აფრიკელთა გუნდს ხვდა წილად.

პირველი ადგილისთვის იბრძოდნენ სსრ კავშირისა და ნიგერიის გუნდები, მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 1:1. დამატებითი 11-მეტრიანები უფრო ზუსტად შეასრულეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, ანგარიშით 3:1 მოიგეს სერია და მსოფლიო ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს.

ფინალები—აგვისტოში

ლანჩხუთში დამთავრდა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზის რესპუბლიკური ფინალური ტურნირი.

ასპარეზობა დასრულდა უფროსი ასაკის ფეხბურთელთა მეტად საინტერესო მატჩით: ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 170-ე და გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის საშუალო სკოლების გუნდები. მატჩი მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, რაზეც ანგარიშიც მიგვანიშნებს — 6:5 თბილისელთა სასარგებლოდ. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ლაგოდეხის მე-2 საშუალო სკოლის გუნდმა ანგარიშით 2:1 სძლია სოხუმის IV სახლმმართველობის კოლექტივს.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის სახელი მოიპოვა გეგეჭკორელმა გოჩა თოდუამ — 11 ბურთი.

ამრიგად, საკავშირო გათამაშების ფინალში უფროსი ასაკის ფეხბურთელთათვის (1970-71 წლებში დაბადებულნი) მონაწილეობას მიიღებენ თბილისისა და გეგეჭკორის გუნდები. შეჯიბრება თბილისში მოეწყობა 15-28 აგვისტოს.

„ტყავის ბურთის“ ფინალურ ტურნირებში, რომლებიც 11-24 აგვისტოს გაიმართება, ასპარეზობის უფლება მოიპოვეს: ფერგანაში, საშუალო ასაკობრივ ჯგუფში (1974-1975 წლებში დაბადებულნი), ლანჩხუთის საშუალო სკოლის გუნდმა; ჩიმკენტში, მოზარდთა ასაკობრივ ჯგუფში (1972-1973 წლებში დაბადებულნი), მახარაძის რაიონის სოფელ ლაითურის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

I ლიგა

მეორე წრე

XXIII ტური

28 ივლისი, სამშაბათი

ასკ (დონის როსტოვი) — „ფახთაქორი“, „ზარია“ — „პამირი“, „კოტაიკი“ — „კუზბასი“, „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“, **„ტორპედო“ ქ.—„კრილია სოვეტოვი“, „დინამო“ ბ. — „გეოლოგი“**, „ფაკელი“ — „ჩერნომორეცი“, „როტორი“ — ასკ „კარპატი“, „კოლოსი“ — „შინიკი“, „მეტალურგი“ — „დაუგავა“.

XXIV ტური

1 აგვისტო, შაბათი

„როსტსელმაში“ — „დინამო“ სტ., ასკ (რ.) — „პამირი“, „ზარია“ — „ფახთაქორი“, „სპარტაკი“ — „კუზბასი“, **„ტორპედო“ ქ. — „გეოლოგი“, „დინამო“ ბ.— „კრ. სოვეტოვი“**, „ფაკელი“ — ასკ „კარპატი“, „როტორი“ — „ჩერნომორეცი“, „კოლოსი“ — „დაუგავა“, „მეტალურგი“ — „შინიკი“,

2 აგვისტო, კვირა

„ლოკომოტივი“ — „კოტაიკი“.

4-5 აგვისტო

სსრ კავშირის თასის მერვედფინალური მატჩები.

XXV ტური

8 აგვისტო, შაბათი

„შინიკი“ — „როსტსელმაში“, „დაუგავა“ — „დინამო“ სტ., „ჩერნომორეცი“ — „მეტალურგი“, ასკ „კარპატი“ — „კოლოსი“, „კრ. სოვეტოვი“ — „ფაკელი“, „გეოლოგი“ — „როტორი“, „ლოკომოტივი“ — **„ტორპედო“ ქ., „კუზბასი“ — „დინამო“ ბ.**, „პამირი“ — „კოტაიკი“, „ფახთაქორი“ — „სპარტაკი“, ასკ (რ.) — „ზარია“.

XXVI ტური

11 აგვისტო, სამშაბათი

„შინიკი“ — „დინამო“ სტ., „დაუგავა“ — „როსტსელმაში“, „ჩერნომორეცი“ — „კოლოსი“, ასკ „კარპატი“ — „მეტალურგი“, „კრ. სოვეტოვი“ — „როტორი“, „გეოლოგი“ — „ფაკელი“, **„კუზბასი“— „ტორპედო“ ქ., „პამირი“** — „სპარტაკი“, „ფახთაქორი“ — „კოტაიკი“.

13 აგვისტო, ხუთშაბათი

„ლოკომოტივი“ — „დინამო“ ბ.

15-16 აგვისტო

სსრ კავშირის თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები.

„დაუგავა“ — „ჩერნომორეცი“ (I წრის მატჩი).

XXVII ტური

18 აგვისტო, სამშაბათი

„როსტსელმაში“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ სტ. — ასკ „კარპატი“, „კოტაიკი“ — „ზარია“, „სპარტაკი“ — ასკ რ., **„ტორპედო“ ქ. — „ფახთაქორი“, „დინამო“ ბ. —„პამირი“**, „ფაკელი“ — „ლოკომოტივი“, „როტორი“— „კუზბასი“, „კოლოსი“ — „კრ. სოვეტოვი“, „მეტალურგი“ — „გეოლოგი“.

XXVIII ტური

21 აგვისტო, პარასკევი

„როსტსელმაში“ — ასკ „კარპატი“, „დინამო“ სტ. — „ჩერნომორეცი“, „კოტაიკი“—ასკ რ., „სპარტაკი“ — „ზარია“, **„ტორპედო“ ქ. — „პამირი“, „დინამო“ ბ. — „ფახთაქორი“.**

22 აგვისტო, შაბათი

„შინიკი“ — „დაუგავა“, „ფაკელი“ — „კუზბასი“, „როტორი“— „ლოკომოტივი“, „კოლოსი“ — „გეოლოგი“, „მეტალურგი“ — „კრ. სოვეტოვი“.

XXIX ტური

27 აგვისტო, ხუთშაბათი

„ჩერნომორეცი“ — „შინიკი“, ასკ „კარპატი“ — „დაუგავა“, „კრ. სოვეტოვი“ — „როსტსელმაში“, „გეოლოგი“ — „დინამო“ სტ., „ლოკომოტივი“ — „მეტალურგი“, „კუზბასი“ — „კოლოსი“, „პამირი“ — „ფაკელი“, „ფახთაქორი“— „როტორი“, **ასკ რ. — „ტორპედო“ ქ., „ზარია“ — „დინამო“ ბ.**

XXX ტური

30 აგვისტო, კვირა

„ჩერნომორეცი“ — „დაუგავა“, ასკ „კარპატი“ — „შინიკი“, „კრ. სოვეტოვი“ — „დინამო“ სტ., „გეოლოგი“ — „როსტსელმაში“, „ლოკომოტივი“ — „კოლოსი“, „კუზბასი“ — „მეტალურგი“, „პამირი“ — „როტორი“, „ფახთაქორი“ — „ფაკელი“, **ასკ რ. — „დინამო“ ბ., „ზარია“ — „ტორპედო“ ქ.**, „კოტაიკი“ — „სპარტაკი“.

გათამაშების კალენდარი

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

1917 1987 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

დღეს ნახევარფინალური მატჩებია

საქართველოს ნაკრებმა არმიელთა გუნდთან მოპოვებული იოლი გამარჯვების შემდეგ ბოლო შეხვედრა უკრაინის გუნდთან გამართა. ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა ვინ გავიდოდა ქვეჯგუფში პირველ ადგილზე. მატჩი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. პირველ პარტიაში უპირატესობას საქართველოს ფრენბურთელები ფლობდნენ და ანგარიშიც ისინი იყვნენ წინ — 8:3, მაგრამ უკრაინელებმა მალე აუღეს ალლო ჩვენი ბიჭების ცრუ დარტყმებს. მეტოქის ტანმაღალი ფრენბურთელები ადვილად ახერხებდნენ ბლოკირებას და მათი ძლიერი დარტყმებიც ხშირად აღწევდა მიზანს. უკრაინელებმა მოიგეს პირველი პარტია (15:11), შემდეგ კიდევ ორი პარტია და მატჩიც — 3:1 (15:10, 15:12, 10:15). ქვეჯგუფში პირველი ადგილი უკრაინელმა ფრენბურთელებმა დაიკავეს.

დღეს გაიმართება ნახევარფინალური მატჩები. ერთმანეთს შეხვდებიან 17.30 საათზე უკრაინისა და სამხრეთი ზონის გუნდები; 19.00 საათზე — საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის გუნდები, 10.00 საათზე კი მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის იბრძოლებენ დასავლეთი ზონის გუნდი და პროფკავშირების-I ნაკრები.

შეეძლენ ხუთეულში?

მაგიდის ჩოგბურთში მხოლოდ გუნდური შეჯიბრება ტარდება — ცალკე გოგონებისათვის და ცალკე ბიჭებისთვის. ტურნირის მონაწილე გუნდებმა 4-4 შეხვედრა ჩაატარეს. ჩვენი გოგონები დასავლეთი ზონის ნაკრებს შეხვდნენ. გუნდის პირველმა ჩოგანმა ოდა ჩაჩავამ სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო, მაგრამ დანარჩენებმა (ნინო ზარქუამ და თეონა კეკელიამ) ვერ აუბეს მას მხარი და გუნდი ანგარიშით 3:6 დამარცხდა. ჩვენმა ნაკრებმა ამ შეხვედრაში საგრძნობი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს: ჰქონდათ ისეთი მომენტი, როცა შეეძლოთ მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ. მაგრამ შემდეგი სამი შეხვედრა პირწმინდად წააგეს, ჯერ უკრაინის განათლების სამინისტროს ნაკრებთან (0:9), შემდეგ პროფკავშირების პირველ გუნდთან და სამხრეთის ზონის ნაკრებთან (1:8).

უკეთესად ასპარეზობენ ჩვენი ჭაბუკები. მათ მოუგეს დასავლეთი ზონის ნაკრებს — 5:4 და „შრომითი რეზერვების“ გუნდს —7:2. ერთნაირი ანგარიშით — 1:8 დამარცხდნენ „დინამოსთან“ და პროფკავშირების პირველ ნაკრებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გუნდები რსფსრ-ის ნაკრებთან ერთად შეჯიბრების ფავორიტებად ითვლებიან. ჩვენ გუნდს პირველ ხუთეულში მოხვედრის შანსი არ დაუკარგავს.

პირველ შეხვედრებში გაიმარჯვეს

თბილისში შეჯიბრება დაიწყეს სამბისტებმა, ჩვენმა ჭაბუკებმა ყველა წონით კატეგორიაში წინასწარი შეხვედრები წარმატებით გაიარეს, შანამდე სპეციალურ ტექნიკურ მომზადებაში ჩატარდა შეჯიბრება, სადაც მესამე იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ბაკურ ერაშვილი (62 კგ). პირველ ადგილზე გავიდა ჯამბულატ ნაგუჩევი (50 კგ, პროფკავშირები-I), მეორეზე — დიმიტრი ავდონიანი (38 კგ, პროფკავშირები-I).

სიურპრიზი

მას შემდეგ, რაც ცხინვალის ფიცარნაგზე ქუთაისელმა მერაბ ხუბუკელაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მწვრთნელებმა თავი ვალმოხდილად ჩათვალეს. ცხადია, აღარც სპეციალისტები ველოდით სიურპრიზს, მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ: 90 კილოგრამზე მეტწონით კატეგორიაში საჩხერელმა ძალოსანმა ზაზა ხარაიშვილმა (მწვრთნელი ვაჟა კაპანაძე) ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ზაზამ პირველ ცდაზე 112 კგ აიტაცა, შემდეგ 5 კილოგრამით დაამძიმა შტანგა, 120 კილოგრამი კი ვეღარ დაიმორჩილა. იგივე წონა დაძლია ვადიმ ალიმეტოვმა („შრომითი რეზერვები“, აზერბაიჯანი), მაგრამ შესრულების ტექნიკით ატაცში პირველ ადგილზე ზაზა იყო.

აკვარაში საჩხერელმა სპორტსმენმა 145 კილოგრამი დაძლია, ვადიმმა — 147,5. მესამე ცდაზე ზაზამ 150 კილოგრამი კარგად აიტანა მკერდამდე, შემდეგ ხელებიც გამართა, მაგრამ წონა ვეღარ დააფიქსირა. წყლის ორი წვეთივით გავდა ვადიმის გამოსვლა ზაზასას, იმ განსხვავებით რომ მისი აკვრა დიდი ყოყმანის შემდეგ ჩათვალეს მსაჯებმა და გამარჯვება დარჩა აზერბაიჯანელ ძალოსანს, რომელმაც 2,5 კილოგრამით გაუსწრო ჩვენს სპორტსმენს. არადა, რა ახლოს იყო ოქროს მედალი. ზაზას ვერცხლის მედალმა გუნდს საერთო მეხუთე ადგილი მოუტანა.

საერთო ფიზიკურ მომზადებაში და თეორიაში ზაზა ხარაიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა.

ჩვენი ძალოსნების მიერ მოპოვებულ ბრინჯაოს და ვერცხლის მედლებს ერთი ოქროც მიემატა, თუმცა იგი უშუალოდ შტანგასთან ჭიდილში არ მოუპოვებიათ — საერთო ფიზიკურ და თეორიულ მომზადებაში პირველი ადგილი დაიკავა 90 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ათლეტმა თბილისელმა ძალოსანმა ნორიკ დუნამალიანმა.

მხოლოდ IX ადგილზე

ხოგში დამთავრდა მოცურავეთა შეჯიბრება. ასპარეზობის ბოლო დღეს, 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, საქართველოს ნაკრებს ჩათვლა მისცეს რუსთაველმა დიმიტრი კანარევმა (XV ადგილი, 34, 63) და რუსთაველმა არჩილ კონტრიძემ (XVI, 34, 88). 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში მეთხუთმეტე იყო თბილისელი ნელი ზოსიმოვა (2. 25,49), რუსთაველმა კარენ ჯეირანიანმა XVI ადგილი დაიკავა (2.15,13).

ჩვენს გუნდს ქულები მოუტანეს 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში მოცურავე გოგონებმა (VII ადგილი, 4.59,95) და ბიჭებმაც (VIII, 4.47,50).

საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესს სახელი პროფკავშირების I ნაკრებმა ძალიანად (1337,5), მეორე — პროფკავშირების II (972), მესამე — რსფსრ-ის განათლების სამინისტროს გუნდი (888,5). საქართველოს ნაკრები IX ადგილზე გავიდა (151).

სპორტსკოლებს შორის ყველას ლენინგრადის „ეკრანმა“ აჯობა (320,5). მეორე ადგილი წილად ხვდა ვოლგოგრადის განათლების განყოფილების სპორტსკოლას (296, 75), მესამე — ლენინგრადის „ბოლშევიკს“ (233). ჩვენი რესპუბლიკის სპორტსკოლებიდან ყველაზე უკეთესად თბილისის „დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის გუნდმა იასპარეზა, (65,5 ქულა, 24-ე ადგილი).

მასალები მოამზადეს „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტებმა: **ნ. გუგუშვილმა, თ. ხარაბაძემ, თ. მიგრიაულმა, უ. ჭიჭინაძემ, დ. ჭელიძემ, ვ. დანელიამ, ა. პაპოშვილმა, ლ. სუბელიანმა, ა. გურასაშვილმა.**

თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

სადაც არა სჯობს...

(დასასრული)

სელის ვახტანგ ჯაფარიძისთვის (65 კგ), რომელსაც აქვს ნიჭი და უნარი, იცის როგორ მიაღწიოს უპირატესობას მეტოქესთან ორთაბრძოლაში, მაგრამ ჯერჯერობით უჭირს ამ უპირატესობის შენარჩუნება.

ნახევარფინალში ჯაფარიძეს მიწუსინსკელი სერგეი კოსმინინის სახით ჰყავდა ძლიერი და გამოცდილი მოწინააღმდეგე, რომელიც ბოლოს ამ ტურნირის ჩემპიონიც კი გახდა. ქართველმა მოჭიდავემ ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა და ბრძოლის დამთავრებამდე 20 წამით ადრე გარკვეულ უპირატესობასაც ფლობდა. სხვა ასეთ დროს უპირატესობის შენარჩუნებას ეცდებოდა, რაც მას საბოლოო გამარჯვებას მოუტანდა, ჯაფარიძემ კი ზედ გონგის წინ გადაწყვიტა ილეთის ჩატარება და... მეტოქემ იგი მტკივნეულ ფანდზე დაიჭირა. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ბრინჯაოს მედლისთვის გამართულ ბრძოლაში. ისევ უპირატესობა, ისევ გაუმართლებელი რისკი და აშკარად მოგებულ პოზიციაში ისევ მტკივნეული ილეთი. ვახტანგ ჯაფარიძემ გდრ-ის წარმომადგენელს უდო კველჰმალცს „ჯენტლმენურად“ დაუმმო ბრინჯაოს ჯილდო. არადა, მედლის ღირსი თვითონ უფრო იყო. ბოლომდე ბრძოლის სურვილი და ენერგია რომ გაქვს, კარგია, მაგრამ ახალგაზრდა მოჭიდავემ ისიც უნდა იცოდეს, რომ სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს. ვახტანგ ჯაფარიძეს შეუძლია მაღალი კლასის ოსტატი გახდეს და ეს შეგონება, ალბათ, გამოადგება.

ტექნიკური შედეგები:

71 კგ. 1. მარკ ალექსანდერი (საფრანგეთი), 2. გია თენაძე (გორი), 3. თამაზ ნამგალაური (თბილისი) და ანდრეი კარასიოვი (ბრეჟნევი).

65 კგ. 1. სერგეი კოსმინინი (მინუსინსკი), 2. იური სოკოლოვი (ლენინგრადი), 3. კარაპეტ ხრჩაანი (მოსკოვი) და უდო კველჰმალცი (გდრ).

60 კგ. 1. ალექსანდრე კოსკოვი (პერმი), 2. ალი ხამხოევი (ალმა-ათა), 3. პაველ ბოტიევი (ბულგარეთი) და იუჯი ოძავა (იაპონია).

აბსოლუტური. 1. აკაკი კიბორძალიძე (ქუთაისი) 2. ალექსანდრე ტარასოვი (კუმერტაუ), 3. ოლეგ ზინჩენკო (დნეპროპეტროვსკი) და იშტვან დუბოვსკი (უნგრეთი).

ყურადღება!

ლატარია „სპორტპროგნოზის“ მოუვარულთათვის!

„ლელოს“ 26 ივლისის ნომერში დაიბეჭდა „სპორტპროგნოზის“ 31-ე ტირაჟის პროგრამა, რომელიც 1987 წლის 1 აგვისტოს გაიმართება. 17 წყვილი (სსრ კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში ქალთა გუნდებს შორის) უნდა იკითხებოდეს ასე: **„კოლოსი“ (ბორისპოლი) — „ტაურასი“ (შაულიაი), პროგნოზი 40 40 20,** მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ თამაში გაიმართება შაულიაში.

„სპორტლოტო“

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 30-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 24 (ხელბურთი), 33 (ფრენბურთი), 40 (რიკაობა), 41 (შაგადის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 9 (საგზატკეცილო ველოსიპედოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 29 (სასტენდო სროლა).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

გათამაშების კალენდარი

მეორე წრე

დასასრული

XXXI ტური
5 სექტემბერი, შაბათი

„როსტსელმაში“ — „კუზბასი“, „დინამო“ სტ. — „ლოკომოტივი“, „შინიკი“ — „კრ. სოვეტოვი“, „დაუგავა“ — „გეოლოგი“, „ჩერნომორეცი“ — ასკ „კარპატი“, „ტორპედო“ ქ. — „კოტაიკი“, „დინამო“ ბ. — „სპარტაკი“, „ფაკელი“ — ასკ რ., „როტორი“ — „ზარია“, „კოლოსი“ — „პამირი“, „მეტალურგი“ — „ფახთაქორი“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა I წრის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ.“	20	16	4	0	34-7	36
„დაუგავა“	20	11	6	3	31-15	28
„ლოკომოტ.“	21	10	8	3	24-13	28
„კოლოსი“	21	11	4	6	30-20	26
„როსტსელ.“	21	10	4	7	29-25	24
„დინ.“ სტ.	21	9	6	6	22-23	24
„შინიკი“	21	9	5	7	14-16	23
„პამირი“	21	8	5	8	26-23	21
„გეოლოგი“	21	8	5	8	23-21	21
„მეტალურ.“	21	7	6	8	27-22	20
„კუზბასი“	21	7	6	8	18-13	20
„ფახთაქ.“	21	7	6	8	21-24	20
ასკ „კარპ.“	21	6	8	7	21-22	20
„სპარტაკი“	21	6	7	8	14-18	19
ასკ რ.	21	8	2	11	16-25	18
„ზარია“	21	5	8	8	20-30	18
„ტორპ.“ ქ.	21	5	7	9	14-25	17
„როტორი“	21	7	2	12	23-32	16
„დინამო“ ბ.	21	5	6	10	14-21	16
„კოტაიკი“	21	6	3	12	21-30	15
„კრ. სოვ.“	21	5	5	11	16-25	15
„ფაკელი“	21	4	7	10	14-22	15

XXXII ტური
8 სექტემბერი, სამშაბათი

„როსტსელმაში“ — „ლოკომოტივი“, „დინამო“ სტ. — „კუზბასი“, „შინიკი“ — „გეოლოგი“, „დაუგავა“ — „კრ. სოვეტოვი“, „ტორპედო“ ქ. — „სპარტაკი“, „დინამო“ ბ. — „კოტაიკი“, „ფაკელი“ — „ზარია“, „როტორი“ — ასკ რ. „კოლოსი“ — „ფახთაქორი“, „მეტალურგი“ — „პამირი“.

XXXIII ტური
14 სექტემბერი, ორშაბათი

„კრ. სოვეტოვი“ — „ჩერნომორეცი“, „გეოლოგი“ — ასკ „კარპატი“, „ლოკომოტივი“ — „შინიკი“, „კუზბასი“ — „დაუგავა“, „პამირი“ — „დინამო“ სტ., „ფახთაქორი“ — „როსტსელმაში“, ასკ რ. „კოლოსი“, „ზარია“ — „მეტალურგი“, „კოტაიკი“ — „ფაკელი“, „სპარტაკი“ — „როტორი“, „დინამო“ ბ. — „ტორპედო“ ქ.

XXXIV ტური.
17 სექტემბერი, ხუთშაბათი

„კრ. სოვეტოვი“ — ასკ „კარპატი“, „გეოლოგი“ — „ჩერნომორეცი“, „ლოკომოტივი“ — „დაუგავა“, „კუზბასი“ — „შინიკი“, „პამირი“ — „როსტსელმაში“, „ფახთაქორი“ — „დინამო“ სტ., ასკ რ. — „მეტალურგი“, „ზარია“ — „კოლოსი“, „კოტაიკი“ — „როტორი“, „სპარტაკი“ — „ფაკელი“.

XXXV ტური
22 სექტემბერი, სამშაბათი,

„როსტსელმაში“ — „ზარია“, „დინამო“ სტ. — ასკ რ., „შინიკი“ — „პამირი“, „დაუგავა“ — „ფახთაქორი“, „ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“, ასკ „კარპატი“, — „კუზბასი“, „ფაკელი“ — „ტორპედო“ ქ., „როტორი“ — „დინამო“ ბ., „კოლოსი“ — „კოტაიკი“, „მეტალურგი“ — „სპარტაკი“.

XXXVI ტური
26 სექტემბერი, შაბათი

„როსტსელმაში“ — ასკ რ., „დინამო“ სტ. — „ზარია“, — „შინიკი“ — „ფახთაქორი“, „დაუგავა“ — „პამირი“, „ჩერნომორეცი“ — „კუზბასი“, ასკ „კარპატი“ — „ლოკომოტივი“, „კრ. სოვეტოვი“ — „გეოლოგი“, „ფაკელი“ — „დინამო“ ბ., „როტორი“ — „ტორპედო“ ქ., „კოლოსი“ — „სპარტაკი“, „მეტალურგი“ — „კოტაიკი“.

XXXVII ტური
3 ოქტომბერი, შაბათი

„ლოკომოტივი“ — „კრ. სოვეტოვი“, „კუზბასი“ — „გეოლოგი“, „პამირი“ — „ჩერნომორეცი“, „ფახთაქორი“ — ასკ „კარპატი“, ასკ რ. — „შინიკი“, „ზარია“ — „დაუგავა“, „კოტაიკი“ — „დინამო“ სტ., „სპარტაკი“ — „როსტსელმაში“, „ტორპედო“ ქ. — „კოლოსი“, „დინამო“ ბ. — „მეტალურგი“, „ფაკელი“ — „როტორი“.

XXXVIII ტური
6 ოქტომბერი, სამშაბათი

„ლოკომოტივი“ — „გეოლოგი“, „კუზბასი“ — „კრ. სოვეტოვი“, „პამირი“ — ასკ „კარპატი“, „ფახთაქორი“ — „ჩერნომორეცი“, ასკ რ. — „დაუგავა“, „ზარია“ — „შინიკი“, „კოტაიკი“ — „როსტსელმაში“, „სპარტაკი“ — „დინამო“ სტ. „ტორპედო“ ქ.— „მეტალურგი“, „დინამო“ ბ. — „კოლოსი“.

9 ოქტომბერი, პარასკევი
სარეზერვო დღე

XXXIX ტური
13 ოქტომბერი, სამშაბათი

„როსტსელმაში“ — „დინამო“ ბ., „დინამო“ სტ. — „ტორპედო“ ქ. „შინიკი“ — „კოტაიკი“, „დაუგავა“ — „სპარტაკი“, „ჩერნომორეცი — ასკ რ., ასკ „კარპატი“ — „ზარია“, „კრ. სოვეტოვი“ — „პამირი“, „გეოლოგი“ — „ფახთაქორი“, „ლოკომოტივი“ — „კუზბასი“, „კოლოსი“ — „ფაკელი“, „მეტალურგი“ — „როტორი“.

XXXX ტური
17 ოქტომბერი, შაბათი

„როსტსელმაში“ — „ტორპედო“ ქ., „დინამო“ სტ. — „დინამო“ ბ., „შინიკი“ — „სპარტაკი“, „დაუგავა“ — „კოტაიკი“, „ჩერნომორეცი“ — „ზარია“, ასკ „კარპატი“ — ასკ რ., „კრ. სოვეტოვი“ — „ფახთაქორი“, „გეოლოგი“ — „პამირი“, „კოლოსი“ — „როტორი“, „მეტალურგი“ — „ფაკელი“.

20 ოქტომბერი, სამშაბათი
სარეზერვო დღე

XXXXI ტური
24 ოქტომბერი, შაბათი

„პამირი“ — „კუზბასი“, „ფახთაქორი“ — „ლოკომოტივი“, ასკ რ. — „კრ. სოვეტოვი“, „ზარია“ — „გეოლოგი“, „კოტაიკი“—„ჩერნომორეცი“, „სპარტაკი“—ასკ „კარპატი“, „ტორპედო“ ქ. — „შინიკი“, „დინამო“ ბ.—„დაუგავა“, „ფაკელი“ — „როსტსელმაში“, „როტორი“— „დინამო“ სტ., „კოლოსი“ — „მეტალურგი“.

XXXXII ტური
27 ოქტომბერი, სამშაბათი

„პამირი“ — „ლოკომოტივი“, „ფახთაქორი“ — „კუზბასი“, ასკ რ. — „გეოლოგი“, „ზარია“ — „კრ. სოვეტოვი“, „კოტაიკი“ — ასკ „კარპატი“, სპარტაკი“— „ჩერნომორეცი“, „ტორპედო“ ქ. —„დაუგავა“ „დინამო“ ბ. — „შინიკი“, „ფაკელი“ — „დინამო“ სტ., „როტორი“ — „როსტსელმაში“.

XXXXIII ტური
31 ოქტომბერი, შაბათი

„როსტსელმაში“ — „მეტალურგი“, „დინამო“ სტ. — „კოლოსი“, „შინიკი“ — „ფაკელი“, „დაუგავა“ — „როტორი“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ ბ., ასკ „კარპატი“, „ტორპედო“ ქ., „კრ. სოვეტოვი“ — „კოტაიკი“, „გეოლოგი“ — „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ — „ზარია“, „კუზბასი“ — ასკ რ.

XXXXIV ტური
3 ნოემბერი, სამშაბათი

„როსტსელმაში“ — „კოლოსი“ „დინამო“ სტ. — „მეტალურგი“, „შინიკი“ — „როტორი“, „დაუგავა“ — „ფაკელი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ ქ., ასკ „კარპატი“ — „დინამო“ ბ., „კრილია სოვეტოვი“ — „სპარტაკი“, „გეოლოგი“ — „კოტაიკი“, „ლოკომოტივი“ — ასკ რ., „კუზბასი“ — „ზარია“, „პამირი“ — „ფახთაქორი“.

თამაშები ჩატარდება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

ინდექსი: 60435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე სსრ, ხიზიროფის ქ. 20. 07955